

„თეოლოგიის განვითარება უკეთესი წამადია საღვთის ყოველგვარის სიძლიერისა. საცოდაო დასრული, თუ ყოველგვარ სიძლიერეს... ყოველი სასწავლო წელი, როდესაც ჩვენს ციხეში თუ სკოლაში დამდევარი, ხაზინა-ხაზინად არის დაყოფილი, რომ მოვლას და შევინახოს ადვილი იყოს.“

სობის მოამბე

№2 (7142)
8 მარტი, სამუშაო.
2022 წელი.
შასი 0.70 ლარი.

სობის მუნიციპალიტეტის ბავშვთა ორგანო

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადს ხელი მოაწერა



მთავრობის მეთაურმა მოქალაქეებისადმი მიმართვისას განაცხადა: „დღეს ისტორიული დღეა საქართველოსთვის. ქვეყნის სახელით ხელს ვაწერ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს. ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე. ეტაპი, რომელიც ჩვენი ისტორიის ახალ ფურცელს შლის და აგრძელებს ჩვენი წინაპრების ძალისხმევას, რომელიც საერთო ევროპულ ოჯახში გაერთიანებისკენ იყო მიმართული“.

„გაზაფხული, ქალი და ღვთაება ერთად გავეუღო ამ ჩვეყანაზე“

გაზაფხულის ღვთაებას გილოცავთ!



გაპროტესტით უკრაინისთვის!

რამდენიმე დღეა სუნთქვა-შეკრული ვადევნებთ თვალს უკრაინაში მიმდინარე უმძიმეს მოვლენებს. არსებული ვითარება საფრთხეს უქმნის არამხოლოდ უკრაინის სუვერენიტეტსა და მშვიდობიანი მოქალაქეების უსაფრთხოებას, არამედ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.



მინდა, სრული მხარდაჭერა გამოვუცხადო ჩვენს მეგობარ ერს ამ განსაკუთრებით რთულ ვითარებაში, მჯერა, რომ უკრაინელი ხალხის თავდადებითა და საერთაშორისო თანამეგობრობის თანადგომით სამართლიანობა აუცილებლად აღდგება.

დავით ბუკია, სობის მუნიციპალიტეტის მერი.



მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები გათვალისწინებული იქნება უკრაინელი ხალხისთვის პირველადი მოხმარების სამედიცინო ნივთების შესაძენად.

სობის მუნიციპალიტეტი აქციაში ჩართვისკენ მოუწოდებს სამოქალაქო საზოგადოებას, ბიზნეს სექტორს, შეძლებისდაგვარად-მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

ჰუმანიტარული ტვირთის ტრანსპორტირება უკრაინის შესაბამის ოლქებსა და ქალაქებში უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს მთავრობის დახმარებით.

აქციაში ჩართვის მსურველებმა დამატებითი ინფორმაციისთვის უნდა დაირეკონ: T-599856099

ჰუმანიტარული ტვირთების მიმღები პუნქტი იფუნქციონირებს ქ. სობის კულტურის სახლში (მისამართი: ქ. სობი, ცოტნე დადიანის ქ. №187).



უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო, მომხე უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, სობის მუნიციპალიტეტი ჰუმანიტარული დახმარების გაწევას იწყებს.

აქცია კოორდინირებულად ხორციელდება სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან და მეზობელ მუნიციპალიტეტებთან ერთად.

ძვირფასო ქალბატონებო, დედებო! უდიდესი სიყვარულით გილოცავთ თქვენს უმშვენიერეს, გაზაფხულივით ლამაზ ღვთაებას-მ მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს, რომელიც დაფუძნებულია თქვენი ღირსების, თანასწორობისა და თავისუფლების ღირებულებებზე და რომლის იშვიათი მახასიათებელია ოდითგანვე ჩვენი კულტურა და ტრადიციები-ქალის კულტისა და დედის ფენომენის მიმართ.

გისურვებთ ქალურ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და წარმატებებს. დაე, მუდამ ამშვენებდეთ და ახალისებდეთ ჩვენს ამქვეყნიურ ცხოვრებას, რომლის დედაბოძი და მთავარი მოტივაცია თქვენ ხართ. ფასდაუდებელია თქვენი წვლილი ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში.

ღმერთმა გაგაძლიეროთ და მოგმადლოთ ღირსეული დედობა, ოჯახური სიმშვიდე და ბედნიერი მომავალი...

დავით ბუკია, სობის მუნიციპალიტეტის მერი. ლევან ქავთარაძე, სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სობელი დემურ ქაჯანია კრივში 2022 წლის საქართველოს ჩემპიონი გახდა

ქ. ბათუმში კრივში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე 63,5 კგ წონით კატეგორიაში სობელმა (საჯიჯაოელმა) დემურ (დიმა) ქაჯანიამ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ფინალურ შეხვედრაზე მან რეზო გულბანს სძლია.

შეგახსენებთ, 2021 წელს თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატის ფინალში მან უკრაინელი მოკრივე დაამარცხა.

სობელებმა: გიორგი ახალაიამ (71 კგ.)-II ადგილი და ბაკურ ჩიქოვანმა (63.5 კგ.)-II ადგილი დაიკავეს.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ჩვენს სასახელო სპორტსმენებს გამარჯვებას. მორიგ წარმატებებს ვუსურვებთ მათ.



ოფიციალური ბვირდი

საკრებულოს სხდომა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან

სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ, რომლის მიხედვითაც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი იგივე დარჩა, რაც 2021 წელს იყო განსაზღვრული.

არასასოფლო-სამეურნეო



ქავთარაძემ ისაუბრა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე, მან საკრებულოს წევრებთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგო უკრაინის თავისუფლებისთვის უთანასწორო და უსამართლო ბრძოლაში დაღუპულ გმირებს.

სხდომაზე განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული ერთი საკითხი, დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შეადგენს 12.38 ლარს, სოფლებში-3.71 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში-3.1 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში გამავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) - 6.19 ლარს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, საკრებულოს მორიგი სხდომა და ხურულად გამოცხადდა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N3

ქ. ხობი

2022 წლის 25 თებერვალი

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული

ფასის დადგენის შესახებ
საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტივობების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის, 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის

საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის N784 ბრძანებულების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.
დადგინდეს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი თანახმად დანართისა.

მუხლი 2.
დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 თებერვლის N3 დადგენილება.

მუხლი 3.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლევან ქავთარაძე, საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი
ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

1. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში - „მიწის ნორმატიული ფასი“) დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

- $CN = IMG \times ITL \times C \times K$, სადაც:
 ა) CN - არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;
 ბ) IMG - არის ქ. ხობის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც შეადგენს 0,43-ს;
 გ) ITL - არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის 1-ს;
 დ) C-არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.

ე) K-არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 120-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით ქ. ხობში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

Imo	Im	C	K	Cn (ლარი)
0,43	1	0,24	120	12,38

3. ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ხობში დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს - 3.71 ლარს.

4. ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ხობში დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და შეადგენს - 3.1 ლარს.

5. ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის! 407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ხობში დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 6.19 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული წესი.

ჩვენს მუნიციპალიტეტში



ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი, მეუფე გრიგოლი და ხობის მუნიციპალიტეტის მერი-დავით ბუკია ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში, ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით აშენებულ, წმინდა ლაზარეს ადგილების სახელობის ტაძარში იმყოფებოდნენ, სადაც ტაძრის კურთხევისთვის მზადება მიმდინარეობს.

მართალი ლაზარეს სახელობის ეკლესიის კურთხევა მიმდინარე წლის გაზაფხულზე იგეგმება.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სააქტო დარბაზში, მერიის მოადგილემ დავით ბერაიამ სამსახურის უფროსებთან და ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელებთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრის თემა - „სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების ჩართვა საზოგადოებრივ სამუშაოებში“.

საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის მიზანია სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვა, რათა მოხდეს მათი წახალისება და მოტივაციის ამაღლება-გახდენ აქტიური სამუშაო ძალა და ინტეგრირდნენ შრომის ბაზარზე.

შეხვედრას, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა, მერიის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია ესწრებოდა



მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ყოველ წელს სწავლობს მოსახლეობიდან შემოსულ განცხადებებს და წლის განმავლობაში, ადმინისტრაციულ ერთეულებში გასვლით, ისმენს მოსახლეობის საჭიროებებს, ითვალისწინებს პრიორიტეტებს და ეძებს გზებს პრობლემების გადასაჭრელად პროგრამული ბიუჯეტის მეშვეობით. სამსახურის მიერ წარდგენილი პროექტი იხილება საჯარო მოსმენით, მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით. შემდგომ პროექტის გატანა ხდება საკრებულოში დასამტკიცებლად.

2022 წლის სოციალური და ჯანდაცვის დახმარების მუნიციპალური პროგრამები დამტკიცდა 613 000 ლარით. მოსახლეობის მეტი ჩართულობისთვის და ძლიერი მმართველობის დასამკვიდრებლად ვფიქრობთ, მომავალი წლიდან, სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვას მუნიციპალიტეტში, რაც საშუალებას მოგვცემს, მოსახლეობიდან შემოსული პროგრამების დამატებით განხორციელებას.

სოციალური პროგრამით, გათვალისწინებულია, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 120000 და ნაკლები ქულის მქონე უმწვეო კატეგორიაზე, გახარჯული წყლის გადასახადის დაფარვა.

სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება, რომელთა სახლი საჭიროებს, სახურავის ნაწილობრივ ან მთლიან შეკეთებას. ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლებისთვის, სხვა საჭირო გამაგრებითი მასალის შეძენა.

უმწვეოთა სასაბინო ბენეფიციართა ერთჯერადად კვებით უზრუნველყოფა ყოველდღიურად და სადღესასწაულო დღეებში.

ფულადი დახმარებები პროგრამულად ეძლევათ: ახალშობილთა ოჯახებს, მრავალშვილიანებს.

სტიქიით დაზარალებულთა და ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს, ავადმყოფებს საოპერაციო დახმარებების თანადაფინანსებაზე.

0-18 წლამდე ბავშვებს, რომლებიც საჭიროებენ რეაბილიტაციას, რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართვას.

აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებს.

დაილიზზე მყოფ მოქალაქეებს სატრანსპორტო ხარჯისთვის.

100 წლის და 100 წელს გადაცილებულ მოხუცებს. დენილებს და ვეტერანებს, აფხაზეთის ომში დაღუპულთა, ასევე

აგვისტოს ომში დაღუპულ ოჯახებს.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ შ.შ.მ. პირებს. ჩერნობილის ტრაგე-



„ერთობლივი კალისხეებით იგებია, ბევრს მივაღწევთ“

ნომრის სტუმარია მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი შოლინა კანკია.

დის მონაწილეებს. ასევე ონკოლოგიურ დაავადებაზე საექსპერტო ავადმყოფებს მალაქტენოლოგიური გამოკვლევების თანადაფინანსებაზე. 6-18 წლამდე შ.შ.მ. პირთა მომსახურე დღის ცენტრს, თანადაფინანსებაზე. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებს. მაღალი მომართვიანობით გამოირჩევა სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია და საჭიროებენ რეაბილიტაციას ან ახლის აშენებას. ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფს ახალი სახლების აშენებას, მაგრამ შარშან 33 ასეთ მდგომარეობაში მყოფ ოჯახს დავეხმარეთ გადასახურით, ასევე გამაგრებისთვის საჭირო მასალით, რისთვისაც გამოყოფილიქნა 125000 ლარი, ასევე კომისიურად შესწავლის პროცესში გამოვლინდა 3 ოჯახი, რომელთაგან ერთი იყო მარჩენალდაკარგული, მას ფავდა მცირეწლოვანი ბავშვები და 2 ხანდაზმული მარტოხელა. რომელთა სახლები იყო ავარიული და არ ექვემდებარებოდა რეაბილი-



რეობაშია და საჭიროებენ რეაბილიტაციას ან ახლის აშენებას. ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფს ახალი სახლების აშენებას, მაგრამ შარშან 33 ასეთ მდგომარეობაში მყოფ ოჯახს დავეხმარეთ გადასახურით, ასევე გამაგრებისთვის საჭირო მასალით, რისთვისაც გამოყოფილიქნა 125000 ლარი, ასევე კომისიურად შესწავლის პროცესში გამოვლინდა 3 ოჯახი, რომელთაგან ერთი იყო მარჩენალდაკარგული, მას ფავდა მცირეწლოვანი ბავშვები და 2 ხანდაზმული მარტოხელა. რომელთა სახლები იყო ავარიული და არ ექვემდებარებოდა რეაბილი-

ტაციას. ჩვენი სამსახურის აქტიური თანამშრომლის ჩართვით, აღნიშნული ოჯახების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოხდა დამატებითი სახსრების მოზიდვა. კერძო სექტორის და მცირე მეწარმეებისგან, შედეგად 3-ივეს აუშენდათ პატარა საცხოვრისი, რაც კარგი მაგალითია თუ როგორ შეიძლება მერიის, კერძო სექტორის და ბიზნესის სექტორის ერთობლივი ძალისხმევით პრობლემის მოგვარება. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 15 საექიმო ამბულა-

გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის მედიკამენტები.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში განხორციელდა რეორგანიზაცია და, საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მოთხოვნათა შესაბამისად, შეიქმნა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომელიც დაკომპლექტებულია საჭირო საშუალებებით, მუშაობს ბავშვთა ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, რომელიც სერთიფიცირებულია, ბავშვთა დაცვის ინსპექტორი, ჯანდაცვის სპეციალისტი, იურისტი და განყოფილების კოორდინატორი, რომელთა ერთობლივი მუშაობით ხდება მათი უფლებების დაცვა და მხარდაჭერა პროგრამებში ბენეფიციარების ჩართვა. მუშაობის დროს წამოჭრილი პრობლემებისთვის, (რომელიც არსებული სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამებით ვერ გვარდება), მუშავდება დამატებითი მხარდაჭერი პროგრამები.

სამსახური გეგმავს შემდგომ წლებში, ერთჯერადი დახმარებების ჩანაცვლებას ისეთ პროგრამულ დაფინანსებაზე, რომელიც უფრო მეტად გათვლილი იქნება გრძელვადიან შედეგზე. ეს იქნება მარტოხელა ხანდაზმულების შინმოვლის პროგრამების მხარდაჭერა თუ ადიქტიური ქცევის პრობლემების, პრევენციაზე და მხარდაჭერაზე გათვლილი პროგრამები.

რაც შეეხება მსოფლიო პრობლემას-კოვიდ-19 ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა მუნიციპალიტეტისთვის.

მუნიციპალიტეტში აცრილთა რაოდენობა ჯერჯერობით არასაკმარისია, მოსახლეობის 70% მაინც უნდა აიცრას, რომ საბოლოოდ დავამარცხოთ პანდემია, თუმცა უახლესი მონაცემებით, ომიკრონით ინფიცირების მაღალმა მაჩვენებელმა, გამოიწვია აცრის მიმდინარეობის შეფერხება. მიუხედავად ამისა, შედგენილია ყველა ადმინისტრაციული ერთეულისთვის გეგმა-გრაფიკი და მაქსიმალურად ვცდილობთ, გავაგრძელოთ აცრის მსურველების მობილიზება და ადგილზე ბრიგადული გასვლა.

დიდი ყურადღება ექცევა სკოლამდელ, სასკოლო დაწესებულებებში და ხალხმრავალ ადგილებში კოვიდ რეგულაციების დაცვას. ასე, რომ იმედია, ერთობლივი ძალისხმევით, მივაღწევთ პანდემიის დასრულებას და დავუბრუნდებით ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

მიწის სისტემური რეგისტრაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო!

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნულმა სააგენტომ მიწის სისტემური რეგისტრაცია დაიწყო. სააგენტო 2022-2024 წლების განმავლობაში, საქართველოს 59 მუნიციპალიტეტში (გარდა ოკუპირებული ტერიტორიისა და თვითმმართველი ქალაქებისა: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი) განახორციელებს საამშოშოველო და სარეგისტრაციო საქმიანობებს (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბერის ბრძანება 798).

დღეს არსებული მდგომარეობით, ქვეყანაში მიწების 1/3 დაურეგისტრირებულია. საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო 2024 წლის ბოლომდე ეტაპობრივად უზრუნველყოფს ყველა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემურ რეგისტრაციას.

სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში მოქალაქეები საფასურის გადახდის გარეშე მიიღებენ შემდეგ მომსახურებებს:

- მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოები;
- უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია;
- გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება;
- სანოტარო მედიაცია;
- მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება;
- ფაქტების კონსტატაცია;
- მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტთან იდენტურობის დადგენა;
- მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების და მასში ცვლილების რეგისტრაცია. მიწის სისტემური რეგისტრაციის პარალელურად, მოქალაქეებს კვლავაც შეეძლებათ ისარგებლონ მიწის სპორადული რეგისტრაციით.

„გახაფხული. ქალი და დედა ერთად გამეუდა ამ ჩვეყანაზე“ ბაზაფხულის დღესასწაულებს ბილოცავით!

სასურველი დედები მოგმკაცრებოდეთ!



მარტია! ქალის, დედის დღესასწაულების თვე. უპირველესად ამ დღისთვის სურვილი გამიჩნდა მოვეფერებოდი ერთ შესანიშნავ ქალბატონს, ექიმ-კარდიოლოგ ირინა ბერაიას და მოლოცვის ბარათი მიმეძღვნა მისთვის.

ირინას და იური თოდუას ოჯახთან გოგი ბუკიას ოჯახის ურთიერთობა ათეულ წლებს ითვლის. იური და გოგი დიდი მეგობრები იყვნენ, რაც მთავარია, იგი ჩვენი ერთადერთი ვაჟიშვილის ნათლია გახლდათ. სამწუხაროა, რომ ის დიდი ხანია ჩვენთან არ არის. თუმცა გიორგიმ იურას სიყვარული და პატივისცემა ირინაზე გადაიტანა, მას ნათლიად მიიჩნევს და ამ ურთიერთობებს ვერაფერი წაშლის. „მეგობრობა გზად და ხიდად“ უთქვამს რუსთაველს და ჩვენი ურთიერთობა მუდამ გზა და ხიდი იქნება ერთურობისთვის.

ირინამ, ახალგაზრდა ფოთელმა გოგონამ დიდი ხანია თავისი სიტყვა თქვა სობელთა შორის. მას აქ ბევრი მეგობარი, გულშემატკივარი და ახლობელი ჰყავს. მან ეს თავისი კეთილი გულით, პაციენტების მიმართ დიდი, თბილი დამოკიდებულებით მოიპოვა. ექიმი კარდიოლოგი სობელისთვის საიმედო, გულსხმიერი ექიმი და ღირსეული პიროვნებაა. მას უყვარს თავისი საქმე და პატივს მიაგებს პაციენტებს. ზრუნავს მათზე და მათ ჯანმრთელობაზე. ის მართლაც კარგი მეგობარი, შესანიშნავი ექიმი და რაც მთავარია, საუკეთესო დედა და ბებიის გახლავთ. მიუხედავად დატვირთული დღეებისა, სახლში დალილს გულის მალამოები-შვილიშვილები მოეღიან, მათი მოფერება და ალერსი ყველაფერს ავიწყებს და გუნება-განწყობილებას უღამაზებს.

წლები უმოწყალოდ გარბიან, ადამიანები კი ახალ-ახალი გამოწვევების, საზრუნავისა და გასაკეთებელი საქმეების წინაშე დგებიან. ასეა ირინაც, ის თავის სასახელო და საყვარელი ვაჟების ირაკლისა და ოლოს ოჯახების სიყვარულით ხარობს. დმურის ყოველდღიურად ავერებს შვილების, შვილიშვილებისა და რძლების სიცოცხლეს.

გაზაფხული შემობრძანდა. აყვავდნენ მინდვრის ყვავილები: იები, ყონივარდები, ფურისულები, ცისთვალეები, მალე ნარცისებიც გადააყვითლებს ეზოებს, გარემო გამწვანდება, ახალი სიცოცხლე დაიბუდებს ყველგან და ყველაფერში. წარსულში დარჩენილიყოს ტკივილიანი, ცრემლიანი და დარდიანი დღეები... მშვენიერ და სათნო ქალბატონო, გისურვებ ჯანმრთელობას, ყველა საუკეთესო სურვილის ახდენას.

თქვენთან ერთად ამ დღეებს-დედისა და ქალის დღესასწაულებს გულოცავ ყველა დედას, ქალს, მეგობარს, კოლეგას...

ღვთის მაღლი ყოველთვის იყოს თქვენი და ყველას მფარველი. სასიამოვნო და სასურველი დღეები გაგმრავლებოდეს!

ეს საგაზეთო მოლოცვა ჩემგან დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სიურპრიზად მიიღე.

ნანი კილასონია.

ცხოვრება მოულოდნელი სიურპრიზებით არის სავსე, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ეს სიურპრიზი სულაც არ არის სასიამოვნო, ის დაუსრულებელ წრეს ჰგავს, კარგს ყოველთვის ცუდი მოსდევს, ცუდს კარგი და ამ არეულობაში ისდა დაგვრჩენია, ვიბრძოლოთ და ჩვენი ადგილ დავიმკვიდროთ. ზოგიც უბრალოდ ცხოვრების დინებას მიჰყვება, ზოგიც იბრძვის მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა და სწორედ ასეთი ადამიანები არიან სტიმულნი და მოტივატორები სხვებისთვის. წარმატებისკენ მიმავალი გზა მარტივი სულაც არ არის, ეს გზა ხშირ შემთხვევაში ეკლიანი და ბუნდოვანია, თუმცა როგორც აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი ტომას პეინი იტყვოდა: „რაც უფრო რთულია ბრძოლა, მით უფრო დიდია ტრიუმფი“.

დანამდვილებით არავინ იცის, მომავალში რა იქნება, ჩვენი ცხოვრება როგორ განვითარდება ათი, ოცი ან თუნდაც ოცდაათი წლის შემდეგ. თუმცა, ის

კი ვიცი, რომ დრო ფასდაუდებელია, თითოეული წამი ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომელიც ღირებულად უნდა გამოვიყენოთ, მიზნების, ოცნებების რეალიზებისთვის კი მუდამ წინ უნდა ვიაროთ.

ძლიერი ქალები მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა, ცხოვრებაში მაინც განაგრძობენ გზას, ვითარდებიან, იხვეწებიან, მუდამ წინ მიდიან. სწორედ აქიდან გამომდინარე, მინდა გაგიზიაროთ ერთი ძლიერი, ახალგაზრდა ქალის მარიკო კობახიძის წარმატების ისტორია, რომელმაც ცხოვრებისეულ დაბრკოლებებს ღირსეულად გაართვა თავი.



გაზაფხულივით მოეღვაჩე მარიკო...

თქვენს ბავშვობაზე, რომ გვიამბოთ, როგორი ბავშვი იყავით? რა იყო თქვენი ოცნებები, მიზნები?

–ვერ ვიტყვი, რომ სხვების მსგავსი, ტიპიური ბავშვობა მქონდა. რადგან 2 წლის ვიყავი, როდესაც დამიდგინეს რეკონსტრუქციული პოლიათრიტი და ამ ასაკიდან მოყოლებული, 14-15 წლამდე ვმკურნალობდი ოკუპანტ ქვეყანაში. თუმცა, დედამ, ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მქონოდა ლამაზი ბავშვობა. ასე რომ, მტკივნეულ დღეებთან ერთად, ლამაზი, ფერადი და სიხარულით აღსავსე დღეებიც მახსენდება ბავშვობიდან.

სკოლის პერიოდზეც რომ გვესაუბროთ, ჩვენ ვიცით, რომ ძალიან კარგი და აქტიური მოსწავლე იყავით, იმ აქტიურმა ცხოვრებამ ხომ არ იქონია გავლენა თქვენს დღევანდელ ცხოვრებაზე?

–როგორც უკვე აღვნიშნე, მკურნალობის გამო, ხშირად მიწვედა ოკუპანტ ქვეყანაში ყოფნა. თუმცა, დრო და დრო ჩამოვდიოდი და ჩვეულებრივ დავყავდი სკოლაში. ეს პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება. განსაკუთრებით, კი სკოლა „არეა“ და იმდროინდელი დირექტორი ქალბატონი ბეატრისა რუსია, რომელიც ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მე ჩვეულებრივ, ყველა აქტივობაში ყოფილიყავი ჩართული. რა თქმა უნდა, ამ თანადგომამ და ხელშეწყობამ დადებითად იმოქმედა ჩემს შემდგომ განვითარებაზე.

როგორ ფიქრობთ, როგორი ხართ სინამდვილეში და როგორ გხედავენ სხვები?

–ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარ. თუმცა, სამწუხაროდ, საზოგადოების გარკვეული ნაწილი დღემდე ვერ აღმიქვამს მათ თანასწორად და მთელი გულით მისურვებენ „გამოჯანმრთელებას“. ოღონდ ვერ ვხდები, რისგან უნდა გამოვჯანმრთელდე. ჩემი ეს მდგომარეობა-ეტილით გადაადგილება არის ჩვეულებრივი ამბავი და ვისურვებდი, რომ სხვებსაც გაეაზრებინოთ ეს.

ყველაზე მეტად რა მოგწონთ თქვენს პროფესიაში?

–პროფესიით ვარ იურისტი და მომწონს, რომ შემიძლია სულ მცირედი წვლილი შევიტანო ადამიანის უფლებების დაცვაში. განსაკუთრებით, კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვაში.

თქვენთვის რას ნიშნავს საქართველოს იუსტიციის გუნდის წევრობა?

–ჩემთვის პატივი და ამავე დროს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ვიყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გუნდის წევრი.

როგორია თქვენი წარმატებისკენ მიმავალი გზა, რა პროფესიული რჩევები გაქვთ ახალბედეებისთვის?

–რა თქმა უნდა, ბევრი შრომა, მიზანდასახულობა და საკუთარი პროფესიის უდიდესი სიყვარულია საჭირო. როცა მთელი გულით გიყვარს ის, რასაც აკეთებ, აუცილებლად მიაღწევ მიზანს და არცერთი წინაღობა არ შეგაშინებს.

დღევანდელი გადმოსახედიდან, არის რამე, რასაც შეცვლიდით თქვენს ცხოვრებაში და რატომ?

–დროის უკან დაბრუნება, რომ შეიძლებოდა, დედის გარდაცვალების დღეს შეცვლიდი. სხვა დანარჩენს უცვლელად დატოვებდი, რადგან ის, რაც მოხდა ჩემს ცხოვრებაში, აუცილებლად უნდა მომხდარიყო, სხვანაირად ის მარიკო არ ვიქნებოდი, როგორც ვარ.

თქვენს პროფესიაზეც, რომ გვესაუბროთ, მოვლენები ისე განვითარდა, როგორც გეგმავდით?

–სიმართლე გითხრათ არა, ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. 8 წლის წინ, გამიმართლა და სრულიად შემთხვევით შევხდი იმ ადამიანს, რომელმაც ხელი შეუწყო ჩემს პროფესიულ ზრდასა და განვითარებას, რამაც განაპირობა ჩემი დღევანდელი მდგომარეობა.

მიზანი, რომლისთვისაც ყოველ დღე შრომობთ?

–ვშრომობ იმისთვის, რომ პირველ რიგში ავასრულო დედის დანაბარები და დავამთავრო დოქტორანტურა. გავამართლო მისი მოლოდინები, რომელიც მას გააჩნდა სიცოცხლეში ჩემთან მიმართებაში. ვშრომობ იმისათვის, რომ დღითიღე პროფესიულად გავიზარდო, განვითარდე და ჩემს ქვეყანას გამოვადგე.

დღეს, მოგეხსენებათ, სოციალურმა ქსელმა შეცვალა „ბავშვების სამყარო“, თქვენ რა აზრის ხართ ამასთან დაკავშირებით?

–რა თქმა უნდა, აუცილებელია, რომ ბავშვებმა ნაკლებად გამოიყენონ სოციალური ქსელები და მეტი დრო დაუთმონ სწავლასა და განვითარებას. დიდი სიფრთხილე მმართებთ მშობლებს. არ არის სასურველი სოციალური ქსელების

აჭრელება მცირეწლოვანი ბავშვების სურათებით. არავინ არ იცის, სოციალური ქსელის მიღმა, ვინ არის ამოფარებული და რა საფრთხე შეიძლება შეექმნას მათ შვილებს „გადაპარანჭული“ სურათების აფრიალებით.

გაზაფხული დედის დღესთან ასოცირდება და ჩვენ ვიცით თქვენი ტკივილი. რას ეტყობით დედას, რომელიც თქვენგან შორსაა, მან, ზომ საოცარი დეობა გაიწვიათ.

–ვეტყობი მაღლობას. მაღლობას იმისათვის, რასაც წარმოვადგენ. დედა იყო საოცარი ადამიანი. მთელი ცხოვრება მექცეოდა როგორც თანასწორს. მაშინ, როდესაც უმრავლესობა „ავად-მყოფად“ აღმიქვამდა, დედასთვის ყოველთვის ვიყავი „ჩვეულებრივი“ შვილი. ჩვეულებრივ გეგმავდა ჩემს მომავალს და მუდამ მიმეორებდა, რომ მე ვიქნებოდი დამოუკიდებელი, ძლიერი გოგო. მაღლობა დედას იმ სიძლიერისთვის, რომელიც ახლა გამაჩნია და მაღლობა მის მიერ ჩემთვის მოძღვნილი ცხოვრებისათვის.

მოკრძალებული კითხვა გვექნება თქვენთან, რომელიც არ გაბრკოლებთ. თქვენ ძალიან დიდი სტიმული ხართ, და რას ურჩევდით ახალგაზრდა მდგომარეობაში მყოფი ბავშვების მშობლებს?

–ვეტყობი, რომ მიიღონ საკუთარი შვილები ისეთებად, როგორებიც არიან და იბრძოლონ მათი უკეთესი მომავლისთვის. ასევე ვურჩევდი, რომ ნუ ეცდებიან მათ შეცვლას და ამისათვის, ნუ აიძულებენ საკუთარ შვილებს აიტანონ მკურნალობით გამოწვეული ტკივილები. თითოეული ადამიანი უნიკალურია საკუთარი შესაძლებლობით და მიიღეთ ეს უნიკალურობა ისეთად, როგორიც არის.

გაზაფხული გარდა იმისა, რომ სიფრთხილესთან და ამაღლებულ განწყობასთან ასოცირდება, ასევე მნიშვნელოვანია იმითაც, რომ 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღე აღინიშნება.

საუბრის ბოლოს მარიკომ ყველა ქალბატონს მოწიწებითა და საუკეთესო სურვილებით მიულოცა გაზაფხულის დღესასწაულები.

მსაუბრა
მეზი ყურაშვილი

„გახაფხული. ქალი და დედა ერთად გაძეულა ამ ქვეყანაზე“ ბაგაფხულის დღესასწაულებს ბილოცავთ!

„დედა“ პირველი სიტყვაა, რომელსაც ბავშვი ამბობს. თითქოს უბრალოდ სიტყვა, რომელშიც მთელი აზრი დევს.



დიდი ქართველი მწერალი ოტია იოსელიანი დედობას ასე ახასიათებს: დედა მარტო დედა არაა! არამედ ყველაფერია, რაც ამ ქვეყნასთან გვაკავშირებს, რასაც სიცოცხლე ჰქვია, რასაც სული უდგას და მზე უცქერის. მისი სიტყვები იდილურად აღწერს დედობის არსს, დედა ეს არის საწყისი სიცოცხლის.

და მაინც რას ნიშნავს დედობა? ის ხომ ერთ-ერთი რთული „პროფესიაა“, წარმოუდგენელია მისი დედა და ამავდროულად ფასდაუდებელი.

დედისთვის შვილი მარადიულ გაზაფხულთან, დედამიწის ზურგზე ყველაზე ძვირფას ადამიანთან ასოცირდება. დედობა მხოლოდ შვილის გაჩენას არ ნიშნავს, როგორც უკვე აღვნიშნე, შვილის სწორად აღზრდა ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და სწორედ აქიდან გამომდინარე, მინდობა მომეყოლა ერთ სამაგალითო წარმატებულ შვილზე ნოდარ პარტოზიასზე და წარმატებულ დედა შანა ჭიშკიაზე.

ნარმაჯიანი შვილის ნარმაჯიანი დედა

ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენი შვილი FLEX-ის პროგრამით ერთი წლის განმავლობაში ისწავლის ამერიკაში. როგორი განცდაა ეს?

შეცნობაში დაეხმარება. გაზაფხული დადგა, მოგეხსენებათ 3 მარტი დედების დღეა. ვის მიულოცავდით ამ დღესასწაულს?

–საოცარი! რადგან უფრო მყარად, ზურგმაგარი და ძლიერი დგახარ ფეხზე და გესახება უკეთესი მომავლის იმედი...

–ღიახ, შემობრძანდა! ახალი სურვილებით და ახალი იმედებით. მინდა ყველა დედას ვუსურვო, ჯანის სიმრთელე, დიდი ხნის სიცოცხლე და შვილის წარმატებით გახარება.

რას იტყვით შვილზე, რომელმაც ასეთი სიხარული მოგანიჭათ? რა თვისებებით გამოირჩევა ის?

რა არის თქვენი პიროვნული თვისება, რომლითაც შეგიძლიათ იამაყოთ?

–ზოგადად შვილი, რომელიც დედის გულს ათბობს და უფროხილდება, ღვთისგან მუდამ დალოცვილი და კურთხეული იქნება—ასეთია ჩემი ვაჟი. ის ბავშვობიდანვე მაღალი პასუხისმგებლობით, შრომისა და მიზანდასახულობის უნარით გამოირჩეოდა.

–უბრალოება. მაბედნიერებს სხვის სახეზე ღიმილის ნახვა. ვფიქრობ, რომ ესეც სიკეთის ტოლფასია.

ვიცი, რომ წარმატებული შვილის დედა ხართ რა გრძნობათ ეს?

თქვენთვის რას ნიშნავს იყო დედა?

–ბედნიერებითა და სიხარულით საეხე გრძნობათ, რომლის განცდას ყველა დედას ვუსურვებდი.

–დელობა ეს არ არის იოლი, დედობა დიდი პასუხისმგებლობაა ერისა და ღვთის წინაშე. უფალს ვთხოვ, რომ ამ პასუხისმგებლობაზე თავის გარემოება შემაძღებინოს ყოველთვის, სანამ მექნება ძალა, რომ ჩემს შვილს დავეუდგე გვერდით და ვიამყო მისით ღრმად მოხუცებულმაც კი.

როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო წარმატების მოსაპოვებლად?

საუბრის ბოლოს ქალბატონმა უანამ დედაშვილობის მნიშვნელობაზეც ისაუბრა. მისი თქმით დედაშვილობა მამომრავებელი ძალაა, რომელიც სიცოცხლის, ცხოვრების, ფეხზე დგომის, მეტის გაკეთების სტიმულს იძლევა.

–ნიჭთან ერთად, შრომა და მიზანდასახულობა, რომელიც ორივე გამოიყენა ნოდარიკომ.

ნოდარი ძალიან მონდომებული, მშრომელი და მიზანმიმართული ვაჟკაცია. გვჯერა, რომ წინ კიდევ ბევრი წარმატება ელოდება.

თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისთვის, რომ შვილი სწორად აღიზარდოს?

ქალბატონ უანასთან საუბარი კი ძალიან სასიამოვნო იყო. სწორედ უანა იმის ერთ-ერთი მაგალითი, რომ კარგი შვილის აღზრდა კარგი დედის დამსახურებაა.

–მოგეხსენებათ, რომ სოციალურ ღირსებასთან დაკავშირებული პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. თუმცა არანაკლებია მშობლის როლი. ჩემი გამოცდილებიდან გეტყვით, პირველ რიგში საჭიროა შვილთან მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება. მოტივაციის ამაღლება და თვითშეფასების უნარის გამოუმუშავება, რომელიც ბავშვს საკუთარი უარყოფითი და დადებითი მხარეების

მეგი ყურაშვილი

ლურჯი იები და მონატრება (ჩანახატი)

ნელი ქარი ქრის და ახლად გაკვირვებულ რტოებს ეთამაშება. განსაკუთრებული სილამაზით ჰყვავის პატარა ბაღი. ხეებს სიმწვანე თანდათან ეძალდება. კეკლუცობენ და თავს იწონებენ ყვითელგულა ყვავილები. საამო და დამატკბობელი სურნელია ირიგვლივ.

რცეს გასცქერის და ფიქრობს... ცისფერთვალეა გოგონას სიყვარული ახსენდება, ბედნიერი წარსული დაფარფატებს, მის გონებაში, ახსენდება მოულოდნელი განშორება. გოგონას ცრემლები და ნაღვლიანი გულდაწყვეტილი მზერა ჩადგომია თვალეში... ყველაფერი კი სულ უბრალოდ მოხდა, მათ სიყვარულში სხვა ჩაერია და გზებიც გაიყარა...



ლევა გოგონას დაბრუნების იმედი...

ბაღის ახლოს უცნობი ქალი იებს ჰყიდის, თვალყუყუნა იებს. ამბობენ, იები უდიდეს სიხარულს ანიჭებს ადამიანებს, განსაკუთრებით შეყვარებულთა კეთილი მეგობარიაო. ალბათ ამიტომაც ასე ხშირად რომ ყიდულობენ თვალხატულა ქალიშვილები და ჭაბუკები. ყიდულობენ და მათ თვალეში სიხარული და ბედნიერება ციმციმებს...

–იქნებ დაბრუნდეს!– ამის გაფიქრებაზე ვაჟს თაფლისფერ თვალეში იმედის სხივი ჩაუდგა, სახეზე სიხარულის ღიმილი აუთამაშდა. მისმა სიმარტოვემ დიდხანს გასტანა, ბოლოს ადგა და ჩაფიქრებული გაუდგა გზას... დღეს დღე მისდევდა, თვეს თვე, მაგრამ ვაჟი ამოჩემებულ ადგილს მაინც არ თმობდა, ჩაფიქრებული დიდხანს იჯდა. და მერე მიდიოდა, თაფლისფერ თვალეში კვლავ უკრთოდა ცისფერთვა-

იმ დღესაც ჩაფიქრებული იჯდა იმ ადგილას, როცა ფიქრებისგან დაღლილი წამოდგა, დაინახა, რომ მისკენ, ლურჯი იებით ხელში გოგონა მობოდა...

მიუახლოვდა და შეკრთა... უდიდესმა სიხარულმა დაამუნჯა... სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ისიც ხელეგბამლილი გაიქცა მისკენ...

ბაღის შუაგულში შეხვდნენ ერთმანეთს... გადაეხვივნენ...

მათ ცრემლიან, დანამულ თვალეში სიხარულის, სიყვარულის და უდიდესი მონატრების სხივი კრთოდა.

დედაჩემო!

დედაჩემო, საფიცარო ჩემო, დღეს დიდი ვარ, როგორ აგიჩემო მენატრება ჩემი ეზოს ჩერო, შენი მჭადის სურნელი და გემო. მე შენს მერე დავრჩი ობლად კენტად. შენნაირად ვერვინ შემიმეყრდა ველარ გზვდები-ამაღლებულ ზეცად მენატრები, სად ხარ ჩემო დედავი თბილ საფლავზე ვანყო ცოცხალ ვარდებს, როგორ მინდა ისევ გვერდით მყავდი.

კვლავ განდობდე ჩემად, გულის ნადებს კვლავ ბავშვობა შენით ამიყვავდეს. შენი სახე მე ხატვით მიცავს, ყველას სჯერა, როცა შენს სულს ვფიცავ, მენატრები, ცრემლი თვალეებს მიწვავს, როცა ვკოცნი შენით გამთბარ მიწას. დედაჩემო საფიცარო ჩემო, როგორ მინდა ისევ აგიჩემო. ნაირა ბერაია



დედა

დედაზე, ქალსა და გაზაფხულზე, მათ მშვენიერებაზე უხსოვარი დროიდან ბევრი, ძალიან ბევრი ლამაზი და ბრძნული სიტყვები ითქვა, შეიქმნა მხატვრული ნაწარმოებები და მე ახალს ვერაფერს ვიტყვი. მხოლოდ ეგაა, რომ ყველას ნებისმიერი მოვლენის მიმართ ჩვენებური აღქმა გვაქვს.

ფერო. სამ ათეულ წელზე მეტია მისთვის ხმამაღლა არცერთი დღესასწაული არ მიმილოცავს. შვილის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილიანი გულისა და ცრემლმუშრალი, ნაღვლიანი თვალეების გამო. იმედია, ამას მაპატიებს.

ლოდ). რამდენი შეძლო, რამდენს გაუძლო... მიუხედავად იმისა, რომ თბილი, ყურადღებიანი, პატივდებული მეუღლე გყავდა იოლი არ იყო 6 შვილის გაზრდა და პატრონობა, შვილიშვილების აღზრდაშიც ხომ ღმრის წილი დაიდო, ყველა მათგანისთვის საყვარელი ბებია ხარ.

...და მეც ქალსა და დედას ვადარებ გაზაფხულის მშვენიერებას. მინდა ყველა ქალსა და დედას მივულოცო გაზაფხულის დღესასწაულები. სულის სიმხნევეს, უღვე სიხარულს, ქალური ბედნიერებას ვუსურვებ მათ...

გაზაფხულივითაა დედა—საწყისი სიცოცხლის, ყველა სიკეთისა და სიყვარულის. სანამ დედა გყავს, ბავშვები გვგონია თავი და თითქოს ასაკის მატებას იმდენად ვერ ვგრძნობთ, მის გვერდით მუდამ დაცულები ვართ, რადგან ყველაზე მეტად გვეიმედება... მაგრამ ძალიან გულსატკენი და დასანანი, როცა უკვე ასაკს მიღწეული დედა, ჩვეულებისამებრ მხნედ ვერაა, ვერ გათამამებს.

მენატრება დე, შენი ტკბილი ხმით ნამდური სიმღერები, ოსტატურად აკენესებული ფანდური. განსაკუთრებით შენი „ნანა“...

განსაკუთრებით კი მინდა დედაჩემს მედიკო არზიანს მოვე-

მინდა დიდხანს მყავდე დე. დიდხანს დამხვდე სიტყვებით „ქუმორთიო დიდაქ ქუგალუ“, დიდხანს გეფერებოდე შრომისგან დაღლილ, დანაოჭებულ ხელეზე (მას „წარჩინებული მუშაკის“ 2 მედალი აქვს ჯილ-

იცოცხლე დედიკო, ჩემო საფიცარო, წლებდამიმეებულო, თმებდათოვლილო, სულიერი და ფიზიკური ტკივილებით შეწუხებულო, მაგრამ მაინც შვილების და შვილიშვილებისთვის დილო იმედო, ათასგზის ტკივილგამოვლილო, ძვირფასო დედა.

მიყვარხარ ძალიან, სიცოცხლეზე მეტად. კიდევ ერთხელ გეფერები და გილოცავ! ჯულიეტა ლატარია

ჩვენს მუნიციპალიტეტში

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის, გურიფულის, თორსადღვანის, ჭალადიდის, პატარა ფოთის, პირველი მაისის, პირველი ხორგის, საგვიჩოს, ქარიატის, ქვემო ქვალონის, ყულევის, შავლევის, შუა ხორგის, ხამისკურის და ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემაჯავებელი სოფლებში დასახლების კრებები და მოსახლეობასთან კონსულტაცია გაიმართა.



მეტი; სანიაღვრე არხები; ნაპირსამაგრი სამუშაოები; გზები და გზისპირა მოსაცდელელები; ხიდები, ცხურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები; გარე განათება; სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა; სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;



ამბულატორიის შენობები; სასაფლაოების შემოღობვა და კეთილმოწყობა; სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების

მოსახლეობამ ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით სოფლისთვის პრიორიტეტულ საპროექტო წინადადებებს დაუჭირა მხარი. კრებებსა და კონსულტაციებს ხობის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ დასაფინანსებელი პროექტების კატეგორიები:

სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის: ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.); სარწყავი სისტე-

ინვენტარი; სკვერები მათ შორის, საბავშვო სკვერები, შესაბამისი ინვენტარით, აგრეთვე სარეკრეაციო სივრცეები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით; წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი; მინი ჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა.

საქართველოს მთავრობამ ხობის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებლად 784 ათასი ლარი გამოუყო.

სოციალურად დაუცველი პირების, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა დაიწყო



ს ა ზ ო გ ა - დობრივი სამუშაოების ფარგლებში, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში, ამ ეტაპზე, 14 382 ვაკანსიაა. ახალი ვაკანსიების რეგისტრაცია კი მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

საქმების პროგრამაში ჩასართავად, ბენეფიციარებს შეუძლიათ მიმართონ სოციალური მომსახურების ან დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრებს.

ინტერვიუ

ფსიქოლოგია გონების სახელმძღვანელო

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში, ფსიქოლოგებს სექსტიურად უყურებდნენ და მიაჩნდათ, რომ მათთან მხოლოდ მენტალური პრობლემების მქონე ადამიანები უნდა დადიოდნენ, თუმცა საბედნიეროდ, დროთა განმავლობაში, მენტალიტეტი შეიცვალა და დღეს ფსიქოლოგია ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პოპულარულ პროფესიად იქცა. იმდენად მნიშვნელოვნად, რომ ყველა დაწესებულებას, თუ ორგანიზაციას, უკვე საკუთარი ფსიქოლოგი ჰყავს.

დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი, დრომ განაპირობა თუ მენტალიტეტის ცვლილებამ ფსიქოლოგიისა და ზოგადად, ფსიქოლოგიების დაფასება, მაგრამ ცხადია, რომ ადამიანებისთვის, რომლებსაც შესაბამისი დახმარება სჭირდებათ, პრობლემას უკვე აღარ წარმოადგენს ფსიქოლოგთან ვიზიტი.

ამერიკელი ფსიქოლოგი და აკადემიკოსი, დანიელ გოლდსტეინი ფსიქოლოგიის გონებისა და ცხოვრების სახელმძღვანელოდ მიიჩნევს. მის აზრს ქართველი ფსიქოლოგებიც ღიად იზიარებენ და მათგანაც ხშირად გვეხმის, რომ ფსიქოლოგია უდიდეს გავლენას ახდენს ფსიქიკის განვითარებასა და ფუნქციონირების კანონზომიერებების მართვაში.

თითოეული ადამიანი განსხვავებულად აღიქვამს მწუხარებას, დარღს, სიხარულსა და ტკივილსაც. არავინ იცის, ადამიანის ბედი დაწერილია, თუ ეს უბრალოდ მითია, რომელიც დროთა განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემა ხოლმე, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ამ ცხოვრებაში არსებობს ისეთი მომენტები, რომლებსაც გვერდს ვერ ავუვლით. უბრალოდ, ხდება და მორჩა, ასეთ დროს კი ფსიქოლოგი ერთგვარი საყრდენი კედელია, შინაგანი განცდებისა და არა მხოლოდ განცდების, შიშების, შფოთვის, ფობიების დასაძლევად.


როგორც აღნიშნეთ, ფსიქოლოგის გარდა, პედაგოგიც ბრძანდებით, თქვენთვის რომელია უფრო პრიორიტეტული?

–კვალიფიკაცია მაქვს ფსიქოლოგ-დეფექტოლოგის რაც შეეხება პედაგოგიურ მოღვაწეობას, ვკითხულობდი ფსიქოლოგიის ლექციებს კონსერვატორიაში, მუსიკალურ ტექნიკუმში, შემდგომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მომწონს ჩემი სპეციალობა, პედაგოგობა მითუმეტეს. ასევე, სკოლაშიც მიმუშავია. კერძოდ ხობში, პირველ და მეორე სკოლებში. ყოველთვის კარგი ურთიერთობები მქონდა სტუდენტებთან და მოსწავლეებთანაც.

თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს კარგი პედაგოგი, ან პროფესიონალი ფსიქოლოგი?

–პედაგოგობა ძალიან კეთილშობილური საქმეა და მათ ძალიან საპასუხისმგებლო მოვალეობა აკისრიათ. პედაგოგმა კარგად უნდა იცოდეს ბავშვის ფსიქოლოგია, ასევე მან თამაშის ელემენტებიც უნდა ჩართოს საგაკვეთილო პროცესის დროს, რომ ბავშვი მეტად აიფილოს, ჩართოს და დაინტერესოს საგაკვეთილო პროცესით. ბავშვს უნდა უხაროდეს კლასში მასწავლებლის გამოჩენა. ფსიქოლოგს რაც შეეხება, ის უპირვე-

ლად „ნობის მოამბე“ ფსიქოლოგს და დამსახურებულ პედაგოგს, გურამ კვიციანიას ესაუბრა, რომელიც არგუმენტირებულად საუბრობს ფსიქოლოგიაზე, გვიზიარებს მის გამოცდილებას და გვაძლევს სასარგებლო ცხოვრებისეულ რჩევებს.



ბატონი გურამი 1940 წელს, ხობში დაიბადა. საშუალო განათლება ხობის №1 სკოლაში მიიღო. სკოლის დამთავრების შემდეგ 3-4 წელი ფიზიკურად მუშაობდა კირის ქარხანაში, ადგილობრივ მრეწველობაში, სახანძროშიც კი 1963-68 წლებში სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა.

სწავლის დასრულების შემდეგ, შვიდი წელი მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში მუშაობდა. შემდეგ იყო რუსთავის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.

ამჟამად კი შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ლექტორია. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა კი 32 წელს ითვლის. გაგიკვირდებათ და დაოჯახებული არ არის, რასაც მის უდიდეს შეცდომად მიიჩნევს. ამბობს, რომ სწავლაზე და კარიერაზე ღირებული, ფასეული და მნიშვნელოვანი, მაინც ოჯახია.

როდის გადაწყვიტეთ, მასწავლებლობა?

–არაფერი ადამიანები, რომლებსაც უყვართ ადამიანებთან ურთიერთობა, სწორედ მათ კატეგორიაში შევდივარ მეც. ერთ-ერთი ფაქტორიც ეს გახლდათ. ამასობაში, ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა კი 32 წელს ითვლის.

წარსულს, რომ გადავავლოთ თვალი, არის რამე რასაც შეცვლიდით?


–არაფერს არ შევცვლიდი ჩემი პროფესიული მოღვაწეობის კუთხით, პირიქით, უფრო მეტად ჩაუღრმავებოდი ყველაფერს, როგორც პედაგოგიურ, ასევე, ფსიქოლოგიის კუთხით.

საუბრის ბოლოს ბატონმა გურამმა, საზოგადოებას ფსიქოლოგიური რჩევები გაუზიარა. როგორც ფსიქოლოგი ის საზოგადოებას ურჩევს, რომ უყვარდეთ ერთმანეთი, ვინაიდან ერთმანეთის სიყვარული მნიშვნელოვანია და ასევე ყურადღებას ამახვილებს ტრადიციებზე, ღირებულებებზე. მას მიაჩნია, რომ არის რაღაც ნიუანსები, რაც შესაცვლელია, თუმცა, საბოლოო ჯამში, ის ტრადიციები, რომლებიც მოსდევს ქართველ ერს, მაინც შეუცვლელია. მისი თქმით, საზოგადოებაში მთავარი საზომი ფული კი არა, მორალი და ზნეობა უნდა იყოს.

მეზი ყურაშვილი.

სულთათანა

თამაზი ბარქაია



სობის სამედიცინო საზოგადოებას გამოაკლდა ექიმი დერმატოლოგი-საოცარი პიროვნება, მაღალი პროფესიონალი, ზნეობისა და კაცთმოყვარეობის მაგალითი, შესაშური ოჯახის მამამთავარი თამაზი (ბუთხუზი) ბარქაია.

კოვიდინფიცირებულმა ვერაფერი გააწყო. სხვათა საიმედო ექიმში, საუბედუროდ, თავად გახდა ვერაფერი ვირუსის მსხვერპლი.

თამაზ ბარქაია არა მარტო პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა, არამედ ადამიანური ურთიერთობების სიმდიდრით. თავმდაბლობით გამორჩეულს ექიმ ოფთამოლოგ ელისო ცატავასთან ერთად საამაყო ოჯახი ჰქონდა. უფროსი ქალიშვილი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია, უმცროსი კი სკოლის მოსწავლე.

დიდი დანაკლისა მისი არყოფნა სამედიცინო დარგში... შ.პ.ს. „მკურნალი“ (სობი) და სენამედში, სადაც ბოლო დროს ემსახურებოდა ადამიანთა ჯანმრთელობას.

როგორც მისი ერთ-ერთი მაღლიე-

რი პაციენტი, უდიდესი მწუხარებით ვუთანაგრძობ ოჯახს, შვილებს და ვიტყვი, რომ შეუძლიათ იამაყონ, რადგან სიკვდილის შემდეგაც მის მიერ გაკეთებული სიკეთე და ზნეობრიობა წლების შემდეგაც წაადგება მის შვილებს და გაუკვალავს ცხოვრების გზას.

ნათელი დაადგეს მის სახელს. ვნანობ, რომ მის სიცოცხლეში ვერ მოვასწარი მადლიერება გამომეხატა.

უფალს ებარებოდეთ, ბატონო თამაზი!

მერი ლავგილავა

მარიკა ლატარია



გაუსაძლისი წელიწადი მიიღია იმ ავბედითი დღიდან, რაც შენი ფაქიზი სული განერიდა ამ წუთისოფელს. თითქოს გაექცეოდა ამქვეყნიური ცხოვრების უკუღმართობას, ვერ გაუძელი მძიმე, უკურნებელ სენს, რომელიც ფეხდაფეხ მოგდევდა და ანადგურებდა შენს ჯანმრთელობას.

რისთვის და რატომ? შენგან გაღებული უშურველი სიკეთის სანაცვლოდ, სხვების ჯანმრთელობაზე თავდაუზოგავად მზრუნველო, უანგაროდ დამაშვრალო, კეთილშობილო მკურნალო! თხემით ტერფამდის ქალური კლდე-მამოსილებით აღსავსე, უღალატო მეგობარო და სამართლიანო ადამიანო!

ჩვენო საყვარელო, მარიკა ექიმო! ღვთის სიყვარულით, მოკრძალებული ყოფით განვლე უფლისგან ბოძებული ხანმოკლე ცხოვრება და სწორედ მას მიანდე შენი სიცოცხლის დარჩენილი წლებიც.

დაღვენთილი სანთელივით ღმერთის ღოცვაში დაღიე უმანკო სული და აღესრულე როგორც წმინდანი.

ჩვენო, ძვირფასო მეგობარო! გულმოდგინედ და უანგაროდ სიკეთის მიესველო, დღენიდაგ სხვებზე მზრუნველო და პაციენტებზე თავდაუზოგავ შრომაში დახარჯულო. შენდამი მათი მადლიერება და უსაზღვრო სიყვარული აისახა სობში, შენს ნალოლიავებ საცხოვრებელში. სამწუხაროდ, შენთვის მორთმეულ, შენეულ ერთადერთ უკანას-

კნელ საჩუქარში, უღამაზესი ყვავილების თაიგულებით დამშვენებულს, ალაღად დაღვრილი ცრემლებითა და ჩუმი ქვითინით მიგაცილებდა ყველა შენთვის საყვარელი ადამიანი. მათთვის ყოველთვის უერთგულესი მეგობარი, განსწავლული კოლეგა და ჭეშმარიტი ქალური კლდე-მამოსილებით აღსავსე, ძვირფასი ქალბატონი, მარიკა ლატარია იქნებით.

უთვალავი მადლობა შენ, ჩვენს გვერდით, ჩვენს პაციენტებზე გაწეული პროფესიონალური საქმიანობისთვის. ნაღდი ექიმის სახელოვანი ტრადიციების გამტარებელო, ბუდეაყრილი დევნილების ჭირ-ვარამის გამზიარებელო!

მშვიდად განისვენე ჩვენო დილო იმედო და ყველას მოამაგვე!

სვეტლანა გვათუა,

შ.პ.ს. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სობის პოლიკლინიკის მთავარი ექიმი.

შ.პ.ს. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სობის პოლიკლინიკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით თანაუგრძობენ ექიმ ოფთამოლოგ ელისო ცატავას და მის შვილებს მეუღლისა და მამის

თამაზი (ბუთხუზი) ბარქაიას

გარდაცვალების გამო.

სობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი უწყვეტ რეჟიმში აწარმოებს მოსახლეობის ტესტირებას კოვიდ-19-ზე და ასევე მონიტორინგი გვაქვს დაწესებული არსებულ ეპიდსიტუაციაზე.

უკანასკნელ პერიოდში, თებერვლის ბოლო რიცხვებიდან, მნიშვნელოვნად იკლო კოვიდ-19-ით დაინფიცირების შემთხვევებმა, პიკმა გადაიარა და არის კლების ტენდენცია. აღნიშნულის გამო მ/წლის 1 მარტიდან მოიხსნა შეზღუდვების უმრავლესობა, ცვლილებები შევიდა ტესტირების საკითხებში.

საქართველოს მთავრობის №975 განკარგულებაში შევიდა ცვლილებები, ტესტირება ჩატარდება შემდეგნაირად:

სიმპტომიანი პაციენტები იტესტებიან ანტიგენის სწრაფი ტესტით, უსიმპტომო პირები არ იტესტებიან, სიმპტომი-

ტი ასევე ექვემდებარება იზოლაციას ტესტირების გარეშე იზოლაციის დასრულებიდან 5 დღე ნიღბის მკაცრი ტარების რეჟიმით.

საშუალო და მძიმე შემთხვევები ექვემდებარება დამადასტურებელი სინჯის აღებიდან მინიმუმ 10 კალენდარული დღის განმავლობაში, შემდგომი ტესტირების გარეშე და მომდევნო 5 დღის მანძილზე ნიღბის ტარების მკაცრი რეჟიმით.

სტრატეგიული დანიშნულების დაწესებულებებში მომუშავე პირები ექვემდებარებიან იზოლაციას დამადასტურებელი სინჯის აღებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში, იზოლაცია სრულდება მე-6 დღის გამომვლენი სწრაფი ტესტირების უარყოფითი პასუხით, იზოლაციის დასრულებიდან მომდევნო 5 დღის მანძილზე მკაცრად რეკომენდებულია ნიღბის გამოყენება.

ინფორმაცია კოვიდ-19-ის შესახებ

ანი ტესტით უარყოფითი არ ექვემდებარება PCR მეთოდით გადამოწმებას, თუ სიმპტომები რჩება, შეუძლიათ 72 საათში გაიმეორონ ანტიგენის ტესტი.

ტუბერკულოზზე დადასტურებული ახალი შემთხვევები ექვემდებარება ანტიგენის სწრაფი ტესტით დიაგნოსტიკას, ადრე PCR მეთოდით იტესტებოდნენ, მაგრამ ახალი რეგულაციით ესენიც გადიან სიმპტომების კატეგორიაში და მათი მსგავსი ტესტირების მეთოდი ინერგება.

სამედიცინო პერსონალი ტესტირებას სამუშაო რეჟიმშიდან გამომდინარე ანტიგენის სწრაფი ტესტით იტესტებიან არაუმეტეს 72 საათში ერთხელ.

პედაგოგები ანტიგენის სწრაფი ტესტით იტესტებიან 7 დღეში ერთხელ.

შ.ს.ს. უსაფრთხოების სამსახური, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურები იტესტება რანდომულად არაუმეტეს 20% თანამშრომლებისა PCR მეთოდით.

112-ის და 144-ის თანამშრომლები იტესტებიან ანტიგენის სწრაფი ტესტით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების თანამშრომლები ტესტირებას ექვემდებარებიან ანტიგენის სწრაფი ტესტით საჭიროების შესაბამისად.

ასევე შეიცვალა კოვიდ-19-ით დაავადებულთა და მათთან კონტაქტირებულთა იზოლაციისა და კარანტინის ვადების განსაზღვრის წესი.

უსიმპტომო პაციენტი ექვემდებარება იზოლაციას დამადასტურებელი სინჯის აღებიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში, იზოლაცია სრულდება გამომვლენი ტესტირების გარეშე. იზოლაციის დასრულებიდან მომდევნო 5 დღის მანძილზე მკაცრად რეკომენდებულია ნიღბის გამოყენება.

მსუბუქი სიმპტომების მქონე პაციენტი ასევე ექვემდებარება იზოლაციას დამადასტურებელი სინჯის აღებიდან მინიმუმ 7 დღის განმავლობაში შემდგომი ტესტირების გარეშე, იზოლაციის დასრულებიდან 5 დღე ნიღბის მკაცრი რეჟიმით ტარებით.

მსუბუქი სიმპტომების მქონე პაციენ-

არ ექვემდებარებიან კარანტინს, ამასთან ეძლევათ ნიღბის მოხმარების რეკომენდაცია მაღალი რისკის კონტაქტის შეწყვეტიდან 10 დღის განმავლობაში:

ა) ბუსტერ დოზით ვაქცინაციის შემთხვევაში.

ბ) პირველადი ვაქცინაციის მე-2 დოზიდან 15-90 დღის განმავლობაში.

გ) კოვიდ ინფექციის გადატანიდან 60 დღის განმავლობაში.

ექვემდებარებიან კარანტს 5 დღის განმავლობაში, ამასთან ეძლევათ ნიღბის მოხმარების მკაცრი რეკომენდაცია მომდევნო 6-12 დღის განმავლობაში.

ა) არავაქცინირებული პირების შემთხვევაში1234;

ბ) არასრულად ვაქცინირების შემთხვევაში;

გ) კოვიდის გადატანიდან 60 დღის შემდგომ პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდვების უმრავლესობა მოიხსნა, მაგრამ კოვიდ-19 ინფექცია არსად არ წასულა, ის კვლავ ჩვენთან ახლოს არის, უნდა ვიყოთ ფრთხილად, საჭიროა გარკვეული რეკომენდაციების დაცვა, როგორც არის დისტანციის დაცვა, მოვერიდოთ ხალხმრავალ შეკრებებს. ნუ გავმართავთ ხალხმრავალ ქელებებს და ქორწილებს, პირბადის ტარება სავალდებულოა ღია და დახურულ სივრცეში, ყველაზე მთავარ რეკომენდაციად პირბადის ტარებასთან ერთად რჩება და მოუწოდებთ, ვთხოვთ ჩვენს მოსახლეობას მოვიდნენ ამცრელ პუნქტებში, აიცრან სრულად, ჩაიტარონ ორჯერადი ვაქცინაცია და შემდგომ აიცრან ასევე ბუსტერ დოზით, რაც არის ჩვენი ჯანმრთელობის გარანტი, მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტი უნდა აიცრას ორჯერადად და ბუსტერ დოზით, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიქმნება მოსახლეობაში მძლავრი იმუნური ფენა და დავამარცხებთ კოვიდ-19 ინფექციას.

ჯუშუბერ ტურავა,

სობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ღირებულების მოაღვილე, ექიმი-პროფილაქტიკოსი.

კვირაკალს საკითხავი

*** დედა რომ არა, ვერ გავჩნდებოდით ქვეყნად, ვერ ვიხილავდით მზით დამშვენებულ დილას. ვერ დავხატავდით სიცოცხლეს ათას ფერად, ვერც გაზაფხულის დაგვასველებდა წვიმა.

წყალობა დედას! რომ აღზარდონ შვილებში რწმენა... ჰქონდეთ სიკეთე, ჯანმრთელობა, ძალა გმირობის! ძალზე ძნელია იყო თურმე ნამდვილი დედა-სიკვდილის დღემდე ერთგულია თავის პირობის...

დაღლილი დამე და თვალებში უღონო ძილი, გულთან მიყრული ჩვილის სუნთქვა, საოცრად ტკბილი... საყუთარ თავთან გამუდმებით ჭიდილი დიდი-დედა თუ არა, სხვა ვინ არის დედაზე თბილი...

რამდენი დარდი, საფიქრალი ჰქონიათ დედას, ჩვენს საფერებლად გამონვდილს და უძლეველ ხელებს...

რამდენი ცრემლი დაუღვრიათ ჩვენგან უჩემრად-ჩემო დედიკო! ჩემო თბილო, შენ შემოგვევლი...

დიდება დედას! დედის გულში ჩამდგარ სიცოცხლეს! დედის თვალებში მარადიულ მხურვალე მზებს!.. რამდენი ია აყვავილდა წელს გაზაფხულზე, - დემერთო, რამდენი უტირიათ საყვარელ დედას...

და ამიგომაც მენანება მათი დაკრეფვა-ვინ იცის, ვის რა საფიქრალი ამოჰყვა ცამდე... ვინ იცის ვის რა უსურვა და ჩაუთქვა დედამ და დედის გულს აყვავებულს ვისუნთქავთ რამდენს...

აი, ასეთი სათუთია დედის სიცოცხლე, თვალს რომ დახუჭავს და გინახავს ყველა სიკეთეს. არ შეიძლება წყენინება მერწმუნეთ დედის, მშვიდად საყუთარ ბუდეს ასე ვერ გაიკეთებთ...

დედის ლოცვაა, რომ დაგვყვება გზებზე მეგზურად, სანთლის ალია ბავშვობიდან გვინათებს შარას. თოვლში, წვიმაში, ჩვენ რომ დედის ფრთები გვეხურა, - თვითონ დედას ჯი ღვთისმშობლის ჯალთა იფარავს...

დედა რომ არა, ვერ გავჩნდებოდით ქვეყნად, ვერ ვიხილავდით მზით დამშვენებულ დილას. ვერ დავხატავდით სიცოცხლეს ათას ფერად, ვერც გაზაფხულის დაგვასველებდა წვიმა...

*** დედა დაბერდება, მზერა აემღვრევა, ალბათ იბორძიკებს დრო და დრო. გულზე დაიფინე მისი ხელისგული, თორემ გეტყინება, მოვა დრო.

სადღაც ტრმა წარსულში ფეხი დაგცდენია? დედამ სულის ბერვით გინამთა. შენი თვალის შუქი, შენი გაღიმიება, ხატის თანასწორად იწამა.

ხელი არ გაუშვა, გზას თუ ვერ გაიკვლევს, მისი სიბერის ნუ შეგრცხვება. ყველა მოგონებას, მთლად რომ გაითელოს, დედის სურნელზეა შერჩება.

-იქნებ ვერ გაიგოს ერთხელ დაძახება, ასაკს ასეთები ჩვევია. გულში არ გაივლო წამით გაბრაზება, ეს ხომ, მხოლოდ დედაშენია!

ქარის სისწრაფა დროში ჩაქსოვილი, ჩვენ ჯი სამუდამო გვგონია. ალბათ, არც იმდენჯერ გვითქვამს „მიყვარხარო“, - თუმცა უთვალავჯერ გვდომნია.

ხელის ცეცებით თუ კედელს გაუყვება, შვილი ყავარჩანდაც ივარგებს. ვისაც დედის ფასი ჯარგად ესმის, აუგს არასოდეს იყადრებს.

ია ნანეიშვილი

-და არის მთები... პიმალაი, ტიანშანი, ალპები, კავკასიონი... მთები, მწვერვალები, თოვლი, ყინული და ზვა-ვი, კლდე, ქვა და ქარი. და... ხალხი როგორც წესი, რამდენიმე ერთად, ხანდახან მარტო-კაციც გამოჩნდება ხოლმე.

რატომ დადიან მთებში? ეს კითხვა ებადება თითქმის ყველას, ვინც მათთან არ ყოფილა ან, ყოფილა და მეორედ მისვლის სურვილი არ გასჩენია...

...დილა ცივი აღ-მოჩნდა, მაინცდამაინც დიდი სურვილი არ მქონდა საძილედან გამოვსულიყავი. ბოლოს ცდუნებას ვერ გავუძელი. სიცივისგან მოკუნტული გარეთ გამოვედი, თოვლის საფარი მომატებულყო, მაგრამ აშკარა იყო, რომ დღეს კარგი ამინდი იქნებოდა...

...ჩვენ გავუდექით გზას მწვერვალების მისადგომებისკენ... ხეობას კიდე უფრო ამშვენებდა თოვლის საბურველი, თითქოს მთები თბილ საბანში გაეხვი-აო, ჩანჩქერები გაყინულა, თუმცა წყლის მცირე, მაგრამ ცოცხალი ნაკადი მაინც ახერხებს გამოძრობას გაყინული სამყაროდან, მწვერვალებს კიდე უფრო მომატებიათ თავიანთი სიდიადე, მომეჩვენა, რომ უფრო ამაყად გადმოგვეყურებენ, ვიდრე ამაზ ზაფხულში აკეთებენ. ...მათ ძირში გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ ხეობის წყლის მშფოთვარე ხმაური და ზოგჯერ ხეობაში შემოპარული ქარი არ-ღვევდა, თუმც ამ ყოველივეს როდი შეუშლია ხელი იმ ბუნებრივი იდილიისთვის, რომ-ლითაც მთები ყოველთვის გა-მოირჩევიან. პირიქით, თითქოს-და იგი რაღაცას მატებს ყოვე-ლივეს ირგვლივ...

...ჩვენ საქართველოს ჩრდი-ლოეთის მაღალმთიან საზღვარ-თან ვიდექით, პირდაპირ ოსე-თის მთები, ოდნავ მარჯვნივ კი ჩეჩნეთისა მოსჩანდა. მათმა სილამაზემ თითქოს გამო-მაფხიზლა... ტანში ურუნტელმა გამიარა... აი რატომ დადიან მთებში-კიდე ერთხელ და უკ-ვე შერამდენე პასუხია იგი ჩემ-თვის.

მთების შეთვლიერება შორი-დანაც შეიძლება, ან ავტომან-ქანიდან ან თვითმფრინავისა და შეველმფრენის ილუმინატორი-დან, ან მთიულების ცხენების მაგარი ზურგიდან, ...მაგრამ ისი-ნი რაღაცას მაღავენ იქ, თავ-ვისთან, რომლის გაგება მხოლოდ მათთან მიხლოებით შეიძლება.

როცა მთაში მიდიხარ ცდი-ლობ, აუცილებლად მიაღწიო მწვერვალს. მწვერვალი, ეს არის მიზანი, ცისფერი ცის სი-კაშკაშე, ქარი ოთხივე მხრი-

დან. სუნი კლდისა და თოვლი-სა, შეგრძნება...

...დამის ათი საათია, უკვე მე-თოთხმეტე საათი სრულდება, რაც მარშრუტზე ვართ, ერთა-დერთი დანდობა ამინდისგან მი-ვიდეთ, ბოლო თოკი ბოლო ტანჯული „ნაბიჯები“ ყინული კლდეზე და აი, ავღივარ წვერ-ზე.

წერაყინები თოვლშია ჩარ-ჭობილი და თოკი გამობმული, ზედ მეწვევილე დგას, რომ არ

კი ნამდვილად გაგვიჩნდა ორი-ვეს სიტყვის მიშველების სურ-ვილი, მაგრამ ეს ყოველივე ისე ზარმაცად მოვიდა ჩვენში, რომ ვერც მე და ვერც მიშა ვერ აგვანქარა გადაგვედგა ეს ნაბიჯი.

ზუსტად არ მახსოვს როდის და რომელმა დაგარღვიეთ ჩვენს შორის ჩამდგარი სიჩუმე, ორი-ვეს ჯგუფი გაგვახსენდა. წვე-თების ხმაურის თანხლებით ნელ-ნელა წამოვდექით და გა-მოვედით ქოხიდან, ჯგუფი თვალს მოფა-რებულყო. ორივენი თავისდაუნებურად ჩვეულ რითმზე გადა-ვედით, მოვიკიდეთ ზურგჩანთები და ჯგუფის მიერ გატ-

და არის მთები...

ჩამოვარ-დეს, გა-ვიხედ-გა-მოვიხედე (4150 მ. ზღვ. დო-ნი დ ა ნ) ხედავ მაქ-სიმაღლე-რია, მთვა-რე დაჰყუ-რ ე ბ ს



მთელს კავკასიონს... გილოცავ გამარჯვებას, და ორივენი ერთმანეთს გადავეხვიეთ...

ძნელია იმ გრომების გად-მოცემა, რომელსაც განიცდის აღამანი, როცა მწვერვალზე მდგარი ასიოდე მეტრით ქვე-მთ ელვას ხედავ, როცა ქვე-მოდან გესმის ქუხლის ხმა, როცა ზემოთ მოწმენდილი ღურჯი ცაა, ხოლო ღრუბლები ისე გაშლილა შენს ფეხებთან, აგერ-ეგერ გავივლიო გაიფიქ-რებ...

...ის დღე 13 ოქტომბერი იყო. მე და მიშა რატიანი ჯგუფის ჩამკეტნი, მონადირის ქოხში ვე-ლოდით მის დაწინაურებას. ერ-თი შეხედვით ყველაფერი თით-ქოს ჩვეულებრივი, მაგრამ ამა-ვე დროს სულ სხვანაირი, ყო-ველივე ჩარბოს გადაცილებული იყო. თივაზე ვიჯექით დანგრე-ულ ქოხში და ჩვენს შორის ჩამდგარ სიჩუმეს სახურავიდან გამოჟონილი თოვლის ნაღობის წვეთების კაპკაპი ავსებდა. არც ერთს არ გვქონდა ლაპარაკის სურვილი. ორივენი ისე გან-ვაგრძობდით სიჩუმის მოსმენას წვეთების ხმაურის ფონზე, თით-ქოს გამოსული ვიყავით ყოფი-ერი სამყაროდან და რაღაც უდი-დესი სიძლიერით გვითრედა თავისკენ სადღაც მაღლა, უფ-რო მაღლა... ჩვენდა უნებურად არც ერთი არ ვიყავით ამის წინააღმდეგი, რადგან ყოველი-ვე დიდ სითბოსა და სიყვარულს ბადებდა ჩვენში.

ცივი ნიავის სუსხიანმა სუნ-თქვამ თითქოს ბოლო აკორ-ღზე დაგვაბრუნა მიწიერს, ახლა

კენილ სველ ბილიკს მტკიცე ნაბიჯებით გავუდექით...

მთაში გადადგმული ყოველი ნაბიჯი ბრძოლაა მძიმე ტვირთ-თან, ძნელ გზასთან, სიმაღ-ლესთან, დაღლასთან. ეს არის ბრძოლა პირველყოვლისა სა-კუთარ თავთან, საკუთარ სულ-თან, სხეულთან და სწორედ ამ ჭიდილში დამარცხებაა ყველა მარცხზე მწარე და საშიში, აქ აუცილებლად უნდა გაიმარჯვო. გამარჯვება კი მწვერვალზე ას-ვლას როდი ნიშნავს მხოლოდ...

...და ვფიქრობ რა გითხრათ, რით დავამთავრო, ან რა და-ვამთავრო, რაც არ დამიწყია, რასაც არც დასაწყისი და არც დასასრული არ აქვს...

...უბრალოდ მინდა გითხრათ, რომ დედამიწაზე თქვენს გვერ-დით ცხოვრობს უცნაური, ძალ-ზე მოუსვენარი ხალხი, ხალხი ვისაც უანგარო სიყვარული და მეგობრობა შეუძლია, ხალხი, რომელიც საკუთარ თავს იგ-დებს საფრთხეში სხვისი სი-ცოცხლისთვის, რომელთა სა-უნჯესაც თავისუფლება შეად-გენს, ხოლო უმაღლეს მსაჯულს-საკუთარი სინდისი. მთასველები მათი გორისანი არიან.

წვეთი აგორდა-ჩაგორდა ქვებს შორის იპოვა გასას-ვლელი. გასძვრა გამოსძვრა და სხვებს შეეკრა და ისინი კიდევ სხვებს და ასე უსას-რულოდ. ყველაფერმა ამან კი მდინარის ჩხრიალი შექ-მნა.

დავით ალანია

სობის მუნიციპალიტეტის ბუფერული ორბანო გამომცემელი: სობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საბანამანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი. სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილაგა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამაზ ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა სობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საბანამანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში. ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru. დაბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20. გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.